

საქართველოს სახელმწიფო და სალიბერალური გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა... 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან... გაზეთის ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ.

17 ოქტომბერს, დიდი ხნის მძიმე ავთომყოფობის შემდეგ თფილისში გარდაიცვალა სიცოცხლით საყვარელი ირკუტსკის საიუნკრო სასწავლებლის არტილერიის მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელი არტილერიის პოდპოლკოვნიკი სპირიდონ სპირიდონის ძე ესაძე

პიხია დავითის ასული მხეიძის, ბარნაბ და ანდრო სვიმონის ძე მხეიძის გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

კატერინე (ივანე გუბია) სვიმონის ასული მხეიძე დასაფლავების დღე დანიშნულია ოქტომბრის 22 დღით ხუთშაბათს სოფელ თერჯოლაში.

ქართული თეატრი წარმოდგენა 9-ე. პირველი აკონინენა

ჭირვეული სოლის მოკრულა 3 მოქ. თარ. კ. მესხისა.

დედის ერთა კომ. 1 მოქ. გ. გუნიასი.

თფილისის სასახლის თეატრი 30 მუღმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით.

გოგზლის კერძო სამკურნალო ღია ყოველდღე მოსიარულე ავთომყოფითების.

თფილისის წერილ-გაქარათა პროფესიონალური სამოგადომის

მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ წმინდა წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 ოქტომბერი—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვიპარნი მთელი თავისი ნაფარითიან ვილს გადარდებენ „მართლმართა შორის წარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

კბილის ექიმი ი. შ. ჭანტუხია იღებს ავთომყოფებს დღითი 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კბილის ექიმი ს. ვაშაყმაძე იღებს ავთომყოფებს დღითი 2—3 ს. საღამოთი 5—7 ს.

ი ა ფ ა თ იყილება ს. ნიგოზიში (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვრით მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეილი, 2 სასინდლე კარგათ მოწყობილი წისკელი, წყლის ჩამური და სხვა საიჯახო შენობები.

ბათუმში გაზეთ „მომავალი“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე გიორგი მახარაძესთან.

ბათუმში გაზეთ „მომავალი“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე გიორგი მახარაძესთან.

რუსეთის პრესა

გაზეთი „ნ. დ.“ ეხება დუმის ს. დემოკრატიულ ფრაქციის ტაქტიკას დუმში და ამბობს: თანამედროვე რუსეთში, სადაც ხალხს უბრალო, კლემენტარული პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად უნდა ბრძოლა, სიყვარული, ფრაქციის არ შეუძლია ხმა მისცეს ისეთ კანონპროექტს, რომელიც აფარობს ერთი კლასის უფლებებს, ხოლო აკანონებს მეორეს უფლებებს.

ოპოზიცია სწორედ რომ სისტემატიური უნდა იყოს, რაც არ უნდა მოხდეს, და რამდენადაც კი შეიძლება, ადრე უნდა იქნას ძლიერი მასის პოლიტიკური აპატია მესამე დუმისადმი.

ვინც ამბობს, რომ „ხალხი არაფერს არ უნდა მოელოდეს მესამე დუმისადმი“ და ჰგონია, ამით ყველაფერი სთქვა—სასტიკათ სცდება. ხალხის ფართო მასამ უნდა გაიგოს, უნდა შეიგნოს, რომ მესამე დუმის მართი მას დიდი საშიშროება მოელის.

გაზეთის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ წმინდა წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 ოქტომბერი—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვიპარნი მთელი თავისი ნაფარითიან ვილს გადარდებენ „მართლმართა შორის წარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

გაზეთის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ წმინდა წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე 23 ოქტომბერი—როდესაც საზოგადოების წევრნი—ვიპარნი მთელი თავისი ნაფარითიან ვილს გადარდებენ „მართლმართა შორის წარა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

დეკემბერი

აფიცრება და მატროსიის აჯანყება. ათინა. აჯანყებულების ნაღმონებსა და კარმანგის სიმაღლეზე დაწყობილ სავივლე ბატარეას შორის ხარბანების სროლა 20 წუთს გაგრძელდა.

გრობის ხელში და მოსალოდნელია ნაღმონების კაპიტულიაცია, საშიში ხმები გავრცელდა, რომ ნაღმონებმა განიზრახეს კუნძულ კრიტის ხელში ჩადგენა.

აჯანყებულთა დაზარალება. ათინა. აჯანყებულთა აფიცრები და მატროსების სრულიად დამარცხდნ.

სტოკჰოლმი. მეფემ მიიწვია თავისთან მწარმოებელთა კავშირის (დირექტორი სილოვი და დეპუტატი ლინდკვისტი და სხვანი) ვეკლავი ჩამართონ მოლაპარაკება მუშებთან და ჩამართონ მოლოდინი ბოლო კონფლიქტს.

პარლამენტის სხდომის გადამდგა. გენა. პარლამენტის სხდომის გადამდგა დეპუტატების ახრით არა ოფიციალური დათხოვნა პარლამენტის, რომ თავიდან აეცილებათ ჩეხების ობსტრუქცია, ანტილაგინიური კანონ-პროექტის სასტიკის გამო.

საზოგადოებრივი ცხოვრება

ბერლინი. აქ ათინიდან დეპეშით იტყობინებინ, რომ 80 აფიცრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ტიპალდისს, მაგრამ პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ აჯანყებაში, ეხლა კატეგორიულად მოითხოვენ გადაყენებულ იქნან ის სახელგანთი უფროსი მოხელეები, რომელსაც ტიპალდისი თხოულობდა.

ცეცხლი.

ვარშავა—რანის ქუჩაზე აფთიქის მაღაზიის პატრონის ბინაზე ცეცხლი გაჩნდა. მიმდებარე დაიწვა სამი კაცი, ამთავან ერთი 15 წლის ბავშვი უკვე გარდაიცვალა, ექვსი მსუბუქი.

ვენეცია—სოფელ მარიაში დაიწვა 47 სახლი. ცეცხლში დაიღუპა თხემოცი წლის ბრმა. დაიწვა აგრეთვე მრავალი ოთხფეხი საქონელი და ხორბალი. სიქიროა დაუყვანებელი დახმარება.

დაპირა.

ნოვოჩერკასკი — დაიკარგა ცხენის ქურდები. ქურდები თავიანთ საქონელს როსტოვის და ტავანროვის ბაზარზე ასაღებდნენ.

სასამართლო.

ტავანროგი. ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატამ განიხილა სადგურზე გაფიცვის საქმე და გადაუწყვიტა ინჟინერ ხლებნიკოვს, როსტოვეს და პოდრეხოვს წლი ნახევრის ციხე, ოთხს თითო წლისა და ორი გამართლა.

ტულა—მოსკოვის სამოსამართლო პალატამ განიხილა კოლონელის სოვეტნიკის პოლიკოვის ქალის საქმე, რომელსაც აბრაგამოვი ს. რევოლუციონერი პარტიის წევრობას. ვაშარკის დროს 1906 წელს მის ბინაზე აღმოაჩინეს პარტიული ლიტერატურა, რომელიც გატყენილი ყუმბარა, რევოლვერები ქა პატრონები. გამოიკვია, რომ მის ბინაზე დადიოდა ორი კაცი, რომლებსაც კატარადა მიუსაჯეს. პალატამ პოლიკოვის ხუთი წლის ციხე მიუსაჯა.

პეტერბურგი—საოლქო სასამართლომ გამართა მღვდელი ლავროვი, რომელსაც ვლადიკავკის სემინარიის წევრების შეურაცხველი აბრაგამოვი.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ გამოიტანა განაჩენი ს. დემოკრატიულ პარტიის საქმის შესახებ. ხუთმეტ დამნაშავეთაგანს 6 მიუსაჯა გადასახლება, ორს ციხე და ორი გამართლა.

სარატოვი. სამოსამართლო პალატამ განიხილა 1908 წელს ბალაშოვის გლეხების პოლიციელებთან შეტაკების საქმე, რომლის დროსაც ერთი გლეხი მოკლულია და ორი დაჭრილი. პალატამ სამ დამნაშავეს მიუსაჯა ორი წლი ტუსად. თა გამაწორებელი რაზმში გაგზავნა.

ტავანროგი—სადგურ ილოვანსკიზე პოლიტიკურ გაფიცვის საქმის გამო ყველა ექვსი ბრალდებული გამართლეს.

ჯარის ბაზმუშანა.

პეტერბურგი. რადგან საქართვება აღარ არის გააჩერონ ყაზანში გაგზავნილი ჯარი, სამპერატორა მთავრობამ გადასწყვიტა გაიყვანოს ჯარების უმეტესი ნაწილი და დასტოვოს მხოლოდ იქ კახაკია ლაბინის პოლიკი. ნახევარი ასეულის დარჩენა ყაზანში, საელჩოში, ხოლო მეორე ნახევარი დარჩენა რეზერვში, ან ენზელში. უკეთვე მომავალში საქართვება დარჩა რუსეთის მთავრობა დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ჯარების გაგზავნათ.

თავდასხმა.

პოლტავა. ლომიციის მახრის სოფელ ბელოცერკოვში ექვსმა ბოროტგამზარებელმა გაძარცვა ეკლესია. დასჯის დარჯი. მძარცველები სროლით გაუღდნენ გზას. ექვით დაიპირეს ორი.

ხოლერა.

პეტერბურგი. ხოლერით ავთ ვახდა 10, მოკვდა 1, ავთ არის 216, ქალაქის განაპირას ავთ ვახდა 2, ავთ არის ათი.

პეტერბურგი—ერთი კვირის განმავლობაში ავთ ვახდა: არხანგელსკიში 1, მოკვდა 1; ბალახანაში 6, მოკვდა 3; ს. დაბუეში—მოკვდა 2, კიევიში—14, მოკვდა 5; კიევის გუბერნიისში—17, მოკვდა 6; კოსტრომში 12, მოკვდა—7; მოვიგოლის გუბერნიისში არჯინ. სიბირის გუბ. ნიკოლაევსკის მახრაში 2, მოკვდა 1; ნოვგოროდის გუბერნიისში—1; კრემენჩუგში—2; პონევევში—12, მოკვდა 4; ალექსანდროვის მახრაში—9, მოკვდა 7; იაროსლავლში—10, მოკვდა 7, გუბერნიისში—4, მოკვდა 2.

უკანასკნელი ფოსტა

საბარძიო.

არდებლის აღუის შემორტყმა. 12 ოქტომბერს ასტარში მისულა არდებილიდან გამოგზავნილი კაცი, რომელსაც შემდეგი უამბნია: შესხეკანებმა რა-

ხიმახანის მეთაურობით ალყა შემოარტყეს ქალაქ არდებლის, სადაც სათარხანია გამაგრებული. არდებლის მიდამოებში მდებარე სოფლები შესხეკანებმა ცეცხლს მისცეს. რახიმ-ხანს შეუერთდნენ სხვა ნენები და ბეგები თავიანთი რაზმებით და არდებლისაკენ მიმავალი გზები შეკრეს. არდებლის მდგომარეობა ამ ყაბათ ძალიან უნდუგეშა. შესძლებს თუ არა სპარსეთის მთავრობა არდებლის შესხეკანებისაგან დახსნას—ეს კიდევ მომავლის საკითხია. ასტარადან და მახლობელი სოფლებიდან დამხმარებელი რაზმი გაგზავნა, წყვიდენ აგრეთვე ყველა ადგილობრივი ფიდავი, —თუმცა ძნელი მოსალოდნელია, რომ მათ არდებლში შესასხვლელი გზა გახსნან. არდებლის მცირე რიცხოვანი ფიდავი კი სათარხანს დიდ დახმარებას ვერ გაუწყვენ მოქალაქეთა დასაცავათ. არდებლის დიდა განსაცდელი მოელის.

რუსმალითი

საბერძნეთის მდგომარეობა. რევოლუციონერი მოძრაობა საბერძნეთში თანდათან იზრდება. უკანასკნელ დროს სამღვდლოებამაც ხმა ამოიღო. ეკლესიებში ხშირათ ვაისნის ეპისკოპოსებისა და უმაღლესი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული პრეტესტი. ხელოსანთა ცეხი ახალი გადასახადებით ძალიან უკმაყოფილოა. ერთ კრებაზე დადგინეს უკველი ღონისძიება იმპარონ, რომ თუ თუ-უნებუნე და მავარ სასმელებზე გადასახადი არ იქნას მომატებული. საბერძნეთის სხვადასხვა ადგილებში ხალხმა დაადგინა იმოქმედოს სახედრო ლიგათან ერთად ყველა იმ საკითხებში, რომელიც რევოლუციონერების შემოღებას ებება. საბერძნეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სახელმწიფოებრივ დღეობაზე გაგრძელებულმა ხმამ. ამბობენ, ვითომ ბერძენი უნდა დაეპირათ, რომელსაც ოსმალეთის საელჩოსათვის საბერძნეთის სახელმწიფოს საიდუმლოებანი უნდა გადაეცეს. მთავრობა ცდილობს ამ საქმის დაფარვას.

რუსეთი

„კეთილი ბიცოლა“. ლომში ამას წინეთ უტრობებმა 12 წლის ლამაზი ქალიშვილი მოიტაცეს. საბერძნეთით, მოტაცებული მალე აღმოაჩინეს, მომტაცებელი კი უგზო-უკვლით დაიკარგნენ. პოლიცია ამას შეძლე თითქმის ყოველდღე ღებულობდა ვაცხადებებს, ვიდაც უცნობანი თავს ესხმან გენაზისტებს და რამოდენჯერმე მათი მოტაცებაც სცადეს. თითონ გენაზისტები უმდეგს მოგვითხრობენ: უკანასკნელ დღეებში გენაზის მახლობელ ქუჩაზე, ვიდაც ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილმა დაიწყა ეტლით სეირნობა. გენაზისტების შეხვედრაზე ის ეტლს აჩერებდა და მათთან საუბარს მართავდა. ბოლოს რომელიმე მათგანს წინადადებას აძლევდა მასთან ერთად ეტლით ვაევირნიბა. თავიანთი მოხერხებული მოქციებით „კეთილი ბიცოლას“ ბევრი გენაზისტი ქალი გაუბამს მახვილი. ამ ამბით აღშფოთებულმა მშობლებმა სასწავლებლის მთავრობას მიმართეს. მთავრობამ ეს ამბავი პოლიციის აცნობა, რომელმაც უკვე მიიღნო „კეთილი ბიცოლას“ კვალს და მის დასაქურათ საქირა ზომები მიიღო.

„პროლეტარია“-ს კონსფიკაცია. დუმის წევრმა სოციალდემოკრატებმა და ტრუდოვიკებმა 14 ოქტომბერს ფოსტით უწყებები მიიღეს, რომლითაც მათ იწვევდნენ შვიდი დღის განმავლობაში სადამოყრთ განყოფილებაში მისულიყვენ და მათ სახელზე მოსული წერილების გახსნას დასწრებოდნენ. დუმის წევრები დანიშნულ ადგილას მივიდნენ. სადამოყრთ მოხელემ პაკეტები დაღებ. გეგმქობარის სახელზე მოსული წერილი ამოარჩია, გახსნა და შიგ „პროლეტარის“ მორიგი ნომერი აღმოჩნდა. დანარჩენ პაკეტშიაც გახსნის დროს ვახეთ „პროლეტარის“ ნომრები აღმოჩნდა. ვახეთის ნომრები სადამოყრთის მოხელეებმა დააკვეს, ვინაიდან საერთაშორისო კონფციის ძალით აკრძალულია დახურული წერილებით ვახეთების გაგზავნა.

გარდამოვივის იუბილეი. 14 ოქტომბერს იაუზის საპოლიციო უბანში (მოსკოვი) გოროდოვი ნ. ხახაროვის 25 წლის ერთსა და იმავე უბანში, ერთსა და იმავე პოსტზე სამსახურის გამო იუბილეი გადაუხადეს. იუბილეის გრადონახანდიკის თანაშემწე დაესწრო, რომელმაც მადლობა გამოუცხადა იუბილეის ერთდული სამსახურისათვის. გარინის რევიზი. ვარშავიდან დაბ-

რუნებულ დეპუტატს, იბლონოვისკის უთქვამს: სენატორ გარინის მოსვლამ ვარშავაში დიდი შიში გამოიწვია ადგილობრივ მოხელეთა შორის. სასტუმროს, სადაც გარინი ჩამოშტარა, მთელი დღე მთხოვენილები ახვევია. დეპუტატის სიტყვით გარინი უფლები მიუღია რევიზია მოახდინოს ყველა ადგილობრივ დაწესებულებებში.

ადმინისტრაციული გადასახლება. დუმის კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს სასამართლოს საქირა რევოლუციონერების, სასურველათ უცნია მოსპობილი იქნას ადმინისტრაციული წესით გადასახლება.

შუამდგომლობა. ქეშ. რუს. კავშ. უმთავრესმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების მინისტრთან, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში პოლონელებისათვის განსაზღვრული ნორმა იქნას შემოღებული. გარდა ამისა საბჭო თხოულობს ვარშავის უნივერსიტეტის დახურვას, სანამ პოლონელები საკმარისათ არ გამოწვივდებიან უმაღლესი სასწავლებლისათვის.

დეპუტატი ვიბორგის გუბერნიის შესახებ. ცენტრის ერთ ვაფლენიან დეპუტატს მთავრობის უმაღლეს წრებში ცნობები შეუტრება ვიბორგის გუბერნიის მდგომარეობის შესახებ. დეპუტატის სიტყვით მთავრობამ ამ ყაბათ ვიბორგის გუბერნიის შემოყრთებას არ აპირებს არც საკანონმდებლო წესით და არც სხვა გზით.

მემარჯვენენი და ს. დ. შეკითხვა. სოციალ-დემოკრატების შეკითხვამ ძირითადი კანონების მე 96 მუხ. განმარტების შეტახებ მემარჯვენეთა შორის დიდა აღიარქით გამოიწვია. ჯერ იყო და ხამის-ლოგისნი უნარი განაცხადა შეკითხვის გამოკვეყნებაზე. ეხლა მემარჯვენენი დუმის თავმჯდომარეს ოფიციალურ პროტესტის გამოცხადებას უპირებენ ს. დ. შეკითხვის გამოკვეყნების გამო. ამის შესახებ ხომიაკოვი აცხადებს, რომ მემარჯვენეთა პროვოკაციული ოინებს არავითარი შედეგები არ მოუყვება.

ცეცხლი მატარებელში. ღამით, 13 ოქტომბერს მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე სახალხო მატარებლის (№ 10) მესამე კლასის ვაგონში ცეცხლი გაჩენლა. მგზავრებს ცინიბთ და ცეცხლის გაძლიერება ვერ შენიშნეს. მათ მხოლოდ მაშინ გამოეღვიძათ, როდესაც კვამლით ისე გაიფსო ვაგონი, რომ სუნთქვა შეუძლებელი გახდა. ამ დროს ვაგონის ერთ კელდში უკვე გამომწვარიყო და მახლობლათ მდებარე კალათებს და სხვა ნივთებს ედებოდათ ცეცხლი. უცრათ მოისმა ხმა: „ოფოფითა“ მგზავრებს თავზარი დაეცათ. ვაგონში ბევრი ბავში იყო. მგზავრებმა ვაგონის ერთ ბოლოში მოიყარეს თავი. ამ დროს ერთ მგზავრს გახსენდა „ვესტინგაუსის“ ტარი და მასწინვე მოავლო მას ხელი. მატარებელი გაჩერდა. მგზავრები მატარებლიდან გამოკვიდნენ, ნივთები კი ცეცხლს დაუტრავეს. ცეცხლის ჩასაქრობათ წყალი არ აღმოჩნდა და არავინ იცის, სადამდე გაგრძელდებოდა ეს უბედურება, რომ ამ დროს პარალელურ გზაზე მეორე მატარებელი არ გამოჩენილიყო. ის სიგნალებით გააჩერეს და „პარაოზის“ საწვავლებით ცეცხლი ჩააქრეს. 15 მგზავრს სამგზავრო ნივთები სრულიად დაეწვათ.

თავად იტოს მკვლელობა. „რუსკოე სლოვო“ თავად იტოს მკვლელობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „ხარბინის ვაგზალზე თავად იტოს ვ. ნ. კოკოცევი და რუსეთის წარმომადგენლები შეხვდნენ. ვაგზალზე ხალხს მიღეთებით უწყებდნენ. იაპონიის ელჩის თხოვნით იაპონელებს უბილეთოდ უწყებდნენ. იაპონელთა ჯგუფში ყოფილა მკვლელიც. ის მიახლოვებია იტოს, უცბათ ბრაუნინგი უძერია და „ურა, კორესა“-ს ყვირილით ექვსჯერ დაუხლია რევოლვერი მისთვის. იტო ამ დროს კოკოცევის გვერდში იდგა. თავად-იტომ გრძობა დაკარგა და ბარბაცი დაიწყო. კოკოცევა მათვის ხელებზე დაისვენა დაჭრილი იტო, რომელიც 20 წუთის შემდეგ გარდაიცვალა. სროლის დროს დაიჭრნ იაპონიის ხარბინელი ელჩი კავაკამი და სახალხის მინისტრის მდივანი—მორი. რუსმა აფიცრმა კორელს რევოლვერი წაართვა. უკანასკნელს წინააღმდეგობა არ გაუწვია, ისე დანებდა პოლიციას. იტოს ვაგიმ სწრაფი მატარებელით იაპონიაში გაიგზავნა. რუსეთის უფინანსთა მინისტრმა იტოს კუბოზე გვირგვინი დაადო. მკვლელობა დაკითხვის

დროს განაცხადა, რომ მკვლელობა წინდაწინვე განზრახული მიზნით ჩაიდინა, მინდრდა შური მეძია იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც იტო კორეიაში ანხორცილებდნენ.

საიდუმლო პოლიციის ოინები. კიევის გუბერნატორმა სამსახურიდან დაითხოვა და პასუხის გებაში მისცა კიევის საიდუმლო პოლიციის უფროსი კრასოვსკი. აპრილში კრასოვსკის ცნობები მიუღია, სტუდენტ სიკორსკის ბანაზე ყოველდღე რამდენიმე კაცი იკრიბება და კარტით ახარტულ თამაშს ეწევიანო. სტუდენტ სიკორსკის ბინაზე კრასოვსკომ დამნაშავეთა ჯგუფი კარტის თამაშის დროს დაიკრა. მოთამაშეთ 300 მანეთი წაართვა და თვითონ მიითვისა, მხოლოდ საქმე არ გამოამჟღავნა და მთელი ინციდენტი ადმინისტრაციას დაუმალა.

საწვდარ-ბარკით

ბიუროს ვადადგომა. პარინის მუნიციპალიტეტის ბიურომ წინადადება შეიტანა მუნიციპალიტეტის კრებაზე პარინის ერთ-ერთ ქუჩას ფერერის სახელი დაერქვასო. უმრავლესობამ წინადადება უარყო. მუნიციპალიტეტის ბიურო ამის გამო სამსახურიდან გადადგა.

სტუდ. დამნაშაძის საქმე. „ბირე. ვედომოსტის“ სიტყვით საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ სტ. დამნაშაძის შესახებ დამატებითი გამოძიება მოახდინონ. ვახეთის სიტყვით ბორდოში დატუსაღებულ დამნაშაძეს ბრალს სდებენ ბავშის მოტაცებაში, რომელიც თფლისის რევოლუციონერებს უნდა მოეხდინათ.

დემონსტრაცია მაღრდში. 11 ოქტომბერს მაღრდში რუსპუბლიკანელებმა, სოციალისტებმა და მეშათა კავშირებმა გრანდიოზული დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციის მიზანი იყო პროტესტის გამოცხადება ყოფილი მინისტრის მათურას კანბინეტის მოსალოდნელ აღდგენის წინააღმდეგ. პოლიციელები ქუჩებზე არ გამოჩენილან. დემონსტრაციის დროს წესიერება ერთხელაც არ დარღვეულა. პროტესტის ერთ მიუძღოდნენ რუსპუბლიკანელი დეპუტატები და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი. დემონსტრაციაში დიდძალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ხალხი დემონსტრატებს აღტაცებით ეგებებოდა.

კიდევ პროვოკატორი

კ ა ვ ა ლ ი ნ ს კ ი. ცნობილია ბურცევა ერთი პროვოკატორი კიდევ აღმოაჩინა. სხენებული პროვოკატორის შესახებ ცნობები ამას წინეთ მოყვანილი იყო ვახეთებში; ნათქვამი იყო, თითქოს ის—ისრაილ—მიხეილ კაპლინსკი წვერი იყო პარალელა სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ბუნდის“ ცენტრალური კომიტეტისა. ეხლა ვახ. „ნოვი დენ“ი გადმოგვცემს, რომ კაპლინსკი „ბუნდის“ ცენტრალური კომიტეტის წევრი არ ყოფილა, არამედ—უბრალო პარტიული მუშაკი, პარტიაში მეტ სახელათ მას ეძახდნენ ლანგსდამს. წინეთ ის ებრაელთა სინაგოგაში უზრალე მოსამსახურეთ იყო. სამსახური მან აღდგ დატრვა და 1893 წელს ზენიკლოვას მიყო ხელი. ამ დროიდან კაპლინსკი შეუდგა სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ებრაელთა შშრომელ მასსაში. ის ბევრს მეცადინობდა, რომ შეედგინა ებრაელთა შორის განსაკუთრებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც ავტონომიური უფლებები უნდა ჰქონოდა მინიჭებული. შემდეგ ეს ფრაქცია მისი აზრით სრულყოფილიან ორგანიზაციათ უნდა შესულიყო საერთო სოც-დემ. მუშათა პარტიაში. კაპლინსკომ მიზანს მიადღწია. მართლაც, მან შეადგინა განზრახული ფრაქცია სახელწოდებით—ლიტვის და პოლონეთის ებრაელ მუშათა კავშირი, იგივე „ბუნდი“. ამ შემთხვევაში კაპლინსკი ენერგიული მოღვაწეობა გამოიჩინა მან დაარსა პირველი საიდუმლო სტამბა და გამოსცა ვახეთი „Рабоч. Голос.“ პირველი ნომერი. რამდენათ დიდია მისი ღვაწლი პარტიის წინაშე, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ Пережит-ში მისი მოღვაწეობას ცალკე დიდი წერილიც კი უძღვნეს. პირველი საიდუმლო სტამბა მან ქ. ვილნოში მოაწყო, შემდეგ ასეთივე სტამბები მოაწყო სხვა და სხვა, ებრაელების დასახლებულ ქალაქებში. ასეთი მუშაობა პარტიაში მას ოდნავაც არ აკმაყოფილებდა, ამიტომ ხელე მიპ-

ყო აგრეთვე პროვოკანდას—დადიოდა ქალაქიდან ქალაქში და ზეპირ პროვოკანდას საშუალებით ებრაელთა შშრომელ ნაწილში ავრცელებდა „ბუნდის“ იდეებს. 1903 წელს ქ. შტაბინისკში „ბუნდის“ პარტიის მეთაურებმა კიევის ქუჩებზე, კრებას, რასაკვირველია, კაპლინსკიც დაესწრო; ამავე ქალაქში მან დიდი საიდუმლო სტამბაც მოაწყო. სხენებული სტამბა პოლიციამ აღდგ აღმოაჩინა და შეიპყრო ყველანი, ვისაც კი მასთან რამე კავშირი ჰქონდა. შეპყრობილთა უპეტესობა დიდი დამნაშავეები აღმოჩნდნენ სხვა და სხვა საქმეებში და ყველანი ბობრუსკის ციხიდან მოსკოვისაში გადაიყვანეს. მათ შორის იყო აგრეთვე კაპლინსკიც. მოსკოვიში იმ დროს მუშებში ცნობილი ზუბატოვი „მოღვაწეობდა“. მან „ბუნდის“ საწინააღმდეგოთ დამოუკიდებელთა პარტია დააარსა, რომლის მეთაური გახდა მარიამ ველბოშევიჩი. იმ ხანებში ზუბატოვი ტუსადა შორისაც „მოღვაწეობდა“ და ვინც მისი აზრის აღმოჩნდებოდა, აგენტებთ იხდიდა. ზუბატოვი შეეცადა აგენტის გაჩენას ქ. ბობრუსკიდან გადამოყვანილ ტუსაშებშიაც, მარა ეს არც ისე ადვილი საქმე იყო: ერთათ ერთი მათ შორის, რომელმაც მიიღო ზუბატოვის წინადადება, იყო კაპლინსკი. ამის შემდეგ ის ადრე ვახეთავისუფლეს ციხიდან. კაპლინსკი ისევ დაუბრუნდა „ბუნდის“ პარტიას, მარა არა როგორც პარტიული მუშაკი, არამედ—როგორც პროვოკატორი.

კაპლინსკომ ყოველივე იცოდა, რაც ბუნდის ცენტრალურ კომიტეტში ხდებოდა. ხშირათ კომიტეტის სხდომებს მის ბინაზე იწვევდენ. კაპლინსკი სხენებული კრებების შესახებ ცნობებს ყოველთვის პოლიციის დეპარტამენტს აწვდიდა. როგორც ამბობენ, 1905 წლამდე პარტიის ყველა საიდუმლოებანი მას პოლიციისათვის არ გადაეცოდა. ამბობენ აგრეთვე, თითქოს მასთან იმალებოდა ცნობილი რევოლუციონერი მასკიმე, რომელიც ბალტის მხარეში რევოლუციონერ მოძრაობას მეთაურობდა და რომელსაც გულ-მოღვინეთ დამებდა პოლიცია. კაპლინსკომ გასცა „ბუნდის“ პარტიული სხლმდგანელები: ტარასი და კალმანი, ამის შემდეგ მან პოლიციას მიჰყიდა სხენებულ პირთა მიერ დაარსებული საიდუმლო სტამბა კიშინოვში. თავის ხელით შეკრული და სხვა ქალაქში გასაგზავნათ გამხადებული „ბუნდის“ პარტიის ლიტერატურა კაპლინსკის მიჰქონდა რკინის გზის სადგურზე და იქ ყანდარმებს აძლევდა. პარტიაში კაპლინსკი საუკეთესო მესაიდუმლოთ ითვლებოდა. როდესაც 1906 წ. დაარსდა ებრაელ ასოთ-ამწყობთა კავშირი, კაპლინსკი თავმჯდომარეთ აირჩიეს. ამ ერთი თვის წინეთ კაპლინსკიმ წერილი მიიღო, რომლითაც წინადადებას აძლევდენ მას გამოცხადებულიყო ყენევაში პარტიული სასამართლოში. წერილის მიღებისთანავე კაპლინსკი სადაც მიიმადა. კაპლინსკის ამხანაგები ვერ დაარწმუნეს, რომ ის პროვოკატორი იყო, სანამ არ აჩვენეს კაპლინსკის ფოტოგრაფიული სურათი, რომელზედაც ბეჭეტი იყო დასმული და შემოწმებული, რამაც ყოველივე ეჭვი ამხანაგებისა ვაჰფანტა და ისინიც დაარწმუნა მის პროვოკატორობაში.

სხალი ამბავი

ექსკურსია. მთავარ-მართველის ნეპარათით დღეს ადგილ ბრივ საფავო გიმნაზიების მოწაფეები, რიცხვით 350 კაცი, სამოსწ. ოლქის მზრუნველისა და დირექტორების თანახლებით მიემგზავრებიან საექსკურსიოთ ქ. ქუთაისს. სამართალში მიცემა. პროკურორის მოთხოვნით და ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს დადგენილების თანაძათ, რაც მთავარ-მართველმა დაამტკიცა, ლანჩუთის ყოფილი ზუპული მიქიაშვილი, რომელსაც უფლების გადამეტება და სახანხო ფულების მითვისება ბრალდება, პასუხის გებაში მისცეს. საქმეს თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს. სახ. წარმოდგენების გამართველ წრის დამფუძნებელ წევრთა კრება. კვირას, 18 ოქტომბერს, სათავად-ხანუქო ბანკის შენობაში შესდგა ახლად დაარსებულ სახ. წარმოდგენების გამართველ წრის დამფუძნებელ წევრთა კრება. კრებას, სხვათა შორის, დაესწრო სახ. უნი-

# ჯანთუბის და ხალის მო- წერითა სახურალებით.

გაზეთმა „მოსავლი“ შესწავილა კავშირი ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „სორაპანთან“, რომლის წარმომადგენელი ბ. ნი მ. ვაჩეჩილაძე და აგენტურა უკვე გადასცა ამიერ-კავკასიის რეისის ვისის სააგენტოს იაკოვლევასას, რომლის რწმუნებულია **ვ. ა. რუკოვიჩი.**

ვისაც სურს ჩვენი გაზეთის აგენტობა პროვინციებში, უნდა მიმართოს მას შემდეგის ადრესით:

Тифлис, Боржомская 5, кв. 1. В. А. Руковичу.  
„მოსავლი“-ს საკუთარმა აგენტებმა გაზეთი მოიკითხონ რეისის ვისის შუამდგომლობით.

„მოსავლი“-ს რედაქცია.

18 ოქტომბერს ნინა ხოლომისკისამ, ლამის 10 ს. პოლიციას ვანუცხდა, რომ მის ბინიდან, გრობოვლოვის ქუჩაზე, № 30 სახლში, ვილაძე ტულეტის უჯრიდან გაიტანა სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები, 2080 მ. ლირებული. ექვთი მიუთითა თავის ყოფილ მზარეულზე მე-ლიტონ ბაქრაძეზე, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა.

არჩილ ჯაფარიძის ოჯახის სასარ-ველობა შეგროვილია 10 მან. 55 კაპ. შემოწმირველთა სია: 1 მანეთი: ია. ფა—ლი, 80 კ.—გრ. ფა—ლი, ათ-ათი შაური: სამ. კ.—ძე, ის. ალხანაშვილი, ალ. ტატიშვილი, გრ. ფარასტაშვილი, სანაკოვეი, არჩ. დ.—ძე, Моисей, ა. ყე-ნია, მიხ. დარჩ. და დავ. ვაბრუაშვილი, 40 კ. №—I, ექვს-ექვსი შაური: ალ. ფხაკაძე, მინა გელაშვილი, ფრ. გოკიე-ლოვი და იას. გობეჯაშვილი, ხუთ-ხუთი შაური: თამარა, ავ. და №, თითო აბაზი: მოხვევ, ერმ. კ.—ლი, ილია ნაცვლიშვი-ლი, იოს. გასიევი, Пел. პ. ტალიკაძე და №.

ოზურგეთი. ამ დღეებში სსახლხო სკო-ლების დირექტორის განკარგულებით ადგი-ლებრივ საკუთრება სკოლის გამგე-მისწავ-ლებუა (ავტობოში) კოტე ხაჯაშვი გავა-ყუაილ იქნა დ. ზუგდიდში. როგორც ამბო-ბენ, მისი გადაყენება გამოწვევია ამ ინდი-დენტს, რომელიც ამას წინათ მოხდა სკა-შექს და სხვაგვარ სკოლის უფროს გორგა-საძის შიდას.

14 ამა ოქტომბერს მოხდა ადგილო-ბრივ სამთხვედის წყურთა სსოგადო-კრება, რომელშიც გამგეობის წევრის სიდ. თაყაიშვილის ნაგვლად, რომელიც სათანადო მთავრობამ არ დაამტკიცა, აირჩია ადგილო-ბრივ ნორტაუისი გრაგოლ ჩიჩუა. აგრეთვე დასაწავი იქნა „ბიბლიოთეკარმა“ ქადა-დამთავრებულმა. ამავე კრებაზე მიღებულ იქნა რამდენიმე ახალი წევრი.

ამ დღეებში ქადაქის გამგეობამ ადგი-ლებრივ მწიგნობრებ დაუგზავნა სსხელმწიფო და სურათო გადასახადების ფურცლები ამა მიმდინარე 1909 წლის. როგორც ამ ფურც-ლებიდან სჩანს, ერთ და იმავე მამულზე არი გადასახდა ფურცლები გამოსული და ისიც უფრო დაზარალებული.

შეცდომის განხორციელება. „მოსავლის“ № 43, მოწინავე წიგნში შეტანილ სტუ-ბილებში დაბეჭდილია: ქრთხიკაძის ვტუ-ბილებში: უნდა იყოს—ჩვენ წმინათ გესმინა.

## უიფაილოვის გეოლოგიური

ვინ მოსთვლის რამდენი უბედურობა და ვაი ვაგლახი განიცადა დასავლეთ სა-ქართველოში ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში? როგორც ქართული ან-დაზა ამბობს, მხოლოდ წისქვილის ქვა დარჩა ჩვენ თავზე დაუტრიალებელი, მაგრამ რაც განვიცადეთ, განა წისქვილის ქვის სიმძიმეზე ნაკლები იყო? ცეცხლი, მანვილი, ვებეკუცია, დახვრეტა, გადა-სახლება, გაუპატრუებელი და ათასი ამის მსგავსი უბედურობა. აღფრთოვანებული ხალხი სულიერათ დაცა. საზოგადო კითხვებზე და პოლიტიკაზე ფიქრს გლე-ხობამ თავი გაანება და საუკუნო-ებით შესისხლობრცხულ მიწს მუშო-ბას დაუბრუნდა. მაგრამ აქაც ბედმა უმუხლთა. პოლიტიკურ გაკრტრებას ნივ-თიერი გაღატაკებაც უნდ დაგვიანო. ნივ-თის ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან, ისედაც გადასახლებით წელში გაწყე-ტილი ხალხს, ამ უკანასკნელ წლებში სულ ახალ-ახალი უბედურობანი დაატყდა თავს, რომელმაც მისი ნივთიერი მდგო-მარეობა სრულ გაკოტრებამდის მიიყუა-ნა. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, დამსჯე-ლი რაზმების „მუშაობა“ რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი მიყენა ხალხს. ამას ზედ დაუმატეთ მოხელეთა ცარცვა-გლეჯა, რომელიც დღეს ისეთ ჩვეულებ-რივ სენათ გადაიქცა, რომ ვერავინ ვეღარ აფარებს მას ხელს,—და თქვენ წინ სრული სურათი გადაიშლება.

როგორც მთავრობის ანგარიშიდან სჩანს, ქუთაისის გუბერნიის საერობო გადასახადი გაწერილი ყოფილა 1901 წ. 443,106 მ. 4 კ. აქედან აუკრებელი დარჩენილა 237,591 მ. 14 კ. 1902 წ.—გაწერილი 443,210 მ. 88 კ., დარჩე-ნილა აუკრებელი 216,364 მ. 51 კ., 1903 წ.—გან. 454,302 მ. 5 კ., აუკ-რებელი—216,927 მ. 58 კ., 1904 წ. გაწერ. 310,319 მ. 78 კ.,—აუკრ. 182,169 მ. 92 კ., 1905 წ. 1 იანვარს

აუკრეფელი გადასახადი უკვე 440,771 მ. 49 კ. უდრიდა. როგორც ხედავთ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აუკრებელი გადა-სახადების რიცხვი ერთი ორად გაზარდილა. ჩვენ რომ 1906—7 და-8 წლების ციფ-რებიც ხელი გვექონდეს, ნათლათ დავი-ნახავდით, რომ „ნედლიმეტი“ ქუთ. გუბერნიის ამ წლების განმავლობაში ერთი ათათ გაზარდილა წინანდელ წლებ-თან შედარებით. განა ამ ციფრების გან-მარტება ექირვება? ეს ციფრები განმარ-ტება-აუხსნელიააოც მოწმობენ ხალხის აუტანელ ნივთიერ შევიწროებას.

წელს ბუნებამაც პირი აბრუნა გაძვო-ტყავებულ ხალხს. გასული ზაფხულის განმავლობაში წვეთი წვიმა არ ჩამო-ვარდნილა დასავლეთ საქართველოში. აუტანელი სიციხეებმა და გამოღმებულმა ზენა ქარმა ნახანდათისი სრულიად გა-ანადგურა. გლეხები ივნისის შუა რიცხ-ვებშივე წინასწარმეტყულობდნენ,—წრე-ულს დავიმწვიეთო. მათი წინასწარმეტყ-ველობა გამართლდა. დღეს დასავლეთ სა-ქართველოს ყოველი კუთხიდან ერთი-და-რგვე გოდების ხმა მოდის; აუტანელი შიმშილი ყველას სასოწარკვეთილებში ადგებს და დახმარებისაკენ იწვევს გულ-შემბატკივარს. სხვადასხვა სოფლებიდან მიღებული კორესპონდენტები ისე წა-გავან ერთი-მეორეს, რომ აღმაიანს გო-ნია, ყველა ერთი კაცის ხელიდან არის გამოსულიო. ყველგან ერთი და იგივე სურათია. ყველგან უკიდურესი სიღარი-ბე, ყველგან შიმშილი კარზე მიმდგო-მა... წრეგან დღეობა გავლიანმა ზაფხულ-მა პირწმინდათ ხელცარიელი დასტო-ვა აქაური გლეხები, „შიმშილო-ბა აუტოვებელია“, „მოსავალი წელს რაქა-ლენჩუში ძალიან ნაკლები იყო. ხალხს ოთხი თვის საჩოო ძლივს მოუვიდა. ხალხი საგონებელში ჩავარდა, აღარ იციან რით გამოკვებონ ცოლში-ლი“, „წელს რომ გურიაში ცუდი მოსა-ვლი იყო, ყველასათვის ცხადია. მიუხე-დავით ამისა, რაც მოსავალი იყო, იმის მოგროვებასაც კი არ ანებებენ ხალხს. მთავრობა მათ საყენულის ფულს ახდე-ვინებს, რომელიც მემამულეებმა (ნაკა-შიძეებმა და ქარცივაძეებმა) თვისი დროს უკვე გადაახდენინეს“, „როგორც ყველ-გან, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე საჯავახოს მხარეშიც, რასაკვირვე-ლია, წელს ძლიერ მცირე მოსავალია. შიმშილი აუცილებელია.“—„მორაპნის მარაში გვალვამ იმდენათ ძლიერათ იმო-ქმედა წლებადელ მოსავალზე, რომ ხალხს სამოთხ თვეს არ ეყოფა მოსუ-ლი სიმინდი“. შიმშილი აუცილებელია—გაიძახის დღეს გურია, იმერეთი, რაქა-ლენჩუში და სამეგრელო. შიმშილი აუ-ცილებელია—იმეორებს გლეხობის სეე-ვანი გამოძახის ჩვენი ჟურნალ-გაზეთი-ბი და ინტელიგენცია. მორჩა და ვთავ-და. ვირომ მარტო ფაქტის აღნიშვნა საკმარისი! ვითომ ცარიელი სიტყვებით და თანაგრძობის გამოცხადებით გაძღე-ბოდეს დამწველი გლეხობა! ვითომ გა-ზეთების კორესპონდენტები შიმშილს ბოლოს მოუღებდეს! საქმე სად არის, საქმე ვინ რას აყენებს, ან ვინ რის გა-კეთებას აპირებს, რომ მოსალოდნელი უბედურობა, ისედაც დაბეჭდებულ გლე-ხობას, თავიდან ააცილონ? პასუხი ერ-თია: ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია და არც არავინ მომავლისათვის იწუ-ხებს თავს. ქუთაისში გამართულმა მეურ-ნეთა კრებამ ორ ოქტომბერს დაადგინა:

1) ეთხოვოს კავკასიის უმაღლეს ადმი-ნისტრაციას, რომ საიმპერიო საკვებ თან-ხიდან გადაიდოს ფული ქუთაისის გუ-ბერნიის მცხოვრებთა საქართველის დასა-კმაყოფილებლათ. 2) დაწესდეს ქუთაი-სის გუბერნიის შემოსატან სიმინდისა და ხორბულფლობისათვის ნაკლები ტა-რიფი. 3) განთავისუფლდეს ხალხი ყო-ველნაირ გადასახადისა და ნედლიმეტი-გან. 4) მიეცეთ მორაპნისა და ქუთაი-სის მარტის მცხოვრებთ სათესლე პუ-რი, რომ პურის დათვებით დაიხლოვოს მოსავალი ორი სამი თვით. 5) გაგზავ-ნოს ქუთაისის გუბერნიის წარმომადგე-ნელს სახელმწიფო სათათბიროში ცნო-ბები მოსავლის შესახებ, რომ მან მხარი დაუჭიროს სათათბიროში ფულის გაღებას ქუთაისის გუბერნიის საქართველისათვის. კრების დადგენილება ყველა ჩვენთა-განი სახარულთი ეგებება, მაგრამ... უბე-დურობა ის არის, რომ, როგორც ზე-მოთ აღვნიშნე, ყოველივე ეს მხოლოდ ქაღალდზე რჩება, მხოლოდ ლამაზი სი-ტყუებით, რომლის ცხოვრებაში გატარე-ბა „ღროების“ თქმის არ იყოს, მხო-ლოდ ოცნება, „ვინაიდან არ მოგვე-პოვება ისეთი საზოგადოებრივი დაწესე-ბულები, რომელსაც შეეძლოს საქმის გაძლიერება“. კრების დადგენილება კრე-ბის დახურვისთან ერთათ სამუდამოთ მოისვენებს რომელიმე საკანცელიარიო მაგისტრის უჯრაში და, ვინ ვიცის, ეგების მზის შუქი სულაც ვეღარ იხილოს. შეიძლება ვინმე იფიქროს,—(თუმცა ასეთები ცოტა მეგულებია) მთავრობა ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარე-ბით თვითონ გაუწვეს დამწველ ხალხს დახმარებასო. ჯერ ერთი, მთავრობის მიერ მოწყობილი დახმარება როგორი თვისებისაა ამას ნათლათ გვიმტკიცებს ჯერ კიდევ არ დავიწყებული გურკო-ლიდელის ისტორია; მეორე, რომ მთა-ვრობისაგან ამ ცუდ დახმარებასაც არ უნდა მოვალდებოდეთ თავის თავათ ამას აშ-კაბათ მოწმობს ქუთაისის გუბერნატორის, გენ. სლავოჩინსკის სიტყვები, რომელიც მან გურიაში წარმოსთქვა რამდენიმე დღის წინათ. როდესაც სოფელ ჩოხატა-ურის გლეხებმა გუბერნატორს თავიანთი მდგომარეობა აუწერეს და მოსალოდნე-ლი შიმშილის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს, გუბერნატორმა მათ მოკლეთ უპასუხა: „თუ თქვენ საზრდო არ გაქვთ, თქვენ მეზობელ სოფელში ექნებათ, ისე-სებთ, გაისათ უკანვე დაუბრუნეთ და იოლათ წახვალთო“. ცხადია, გლეხებს გუბერნატორის დაუხმარებლობაც შეე-ძლოთ ამ საშვალების აღმოჩენა... ამას იქით კი მთავრობის დახმარება, ჯერ-ჯერობით მაინც არ მიდის. კარზე მომდგარი გაკრებების მარტო სიტყვებით დაკმაყოფილება არ კმარა—„ГОЛОДНЫХЪ НАСЯМИ НЕ КОРМЯТЪ“! დროა სათანადო დაწესებულებებმა და გულშემბატკივარმა კერძო პირებმა ამ თავიანთ გადადგან პრაქტიკული ნაბიჯი აუცილებელი შიმშილის წინააღმდეგ სა-შვალების გამოსაძებნათ და მოსალოდნე-ლი სახალხო უბედურობის თავიდან ასა-ცილებლათ, თორემ მერე გვიანაც იქნება და მეტათ ძელი შესასრულებელიო... დ. ჩ.

## კიდევ ბათუმის გაზეთზე.

ქვემოთ იბეჭდება გაზ. „ბატ. იზე“-ს წერილი, თუმცა, ერთი გლახა მეგრე-ლის და მისი უფროსი არ იყოს, ბათუმის გაზეთს უფრო სწორია გზა ქანდა—თავი-სი წერილი თავისსავე ფურცლებზე მოე-თავსებია.

ამ წერილის უწამური კილო საუკე-თესო მიჩვენებელია იმისი, თუ რა მო-ლიპულ გზაზე შემდგარა ბათუმის გაზე-თი: წერილის ავტორი თუ ავტორნი, იმის მაგივრათ, რამდენიმე სიტყვა-რესად იმის ძიებაში არიან, თუ ვინაა „გაზეთი“—ახლაც თუთაშაშვილებში იმყოფება თუ აწი აპირებს იქ თავის შე-ყოსება, და ცოტა ქვემოთ ასე სწყვეტენ: „ჩვენს წინააღმდეგ მოსიყდილი კალო-მიაო.“

ისიც თურმე... გამყრელიძისაგან. „გამყრელიძეო,—სწერს გაზეთი თავის ფურცლებზე (№ 41),—შედავთებისა და ადგილების დაპირებით, იმ პირთა დახმარებას ეძებს, ვისაც შეცდომაში შეყავს თფილისის პრესის ზოგიერთი ორგანო-ებია.“

წერილობანი კინკლაობით გატაცებულ გაზეთს ყველგან და ყველაფერში გამყ-რელიძე და მისი გამოქომაგება ელანდუ-ბა და ღლე მუდამ იმის „მლიერებას ებრძვის“, როგორც ღონ-იხობტი ქარის წისქვილი.

და ამის შემდეგ წერილის ავტორნი კიდევ შემწვრალინი არიან, ჩვენს პროგ-რესიულ მოქმედებაზე ექვი რათ შეგივი-დათო! გაზეთის განსწავლულმა ხელმძღ-ვანელებმა, სჩანს, არ იციან, რომ სიტყვა „პროგრესიული“ მარტო „რეაქციო-ნურს“ კი არ სუბირდაპირდება პოლიტი-კური მნიშვნელობით.

ქუჩის ხულიგანი არც რეაქციონერია და არც პროგრესისტი, ის მხოლოდ ხუ-ლიგანია.

ქუჩის ფურცლებზე არც რეაქციონუ-რი თქმის, არც პროგრესიული.

რეაქცია დავეთანხმება, რომ სხვის გულში ხელის ფათური პროგრესიული გაზეთის საქმე არაა.

ბათუმის გაზეთმა ქალაქის თავის ბ. ანდ-რონიკაშვილის გარეგან შეხედულობას განსაკუთრებული წერილი უძღვნა:

„წარმოსადგენი კაციაო“, დაცინით სწერს ვილაძე სტაროვილი.

„Муниципальный красавчикъ“-ო, სწერდა ხოლმე ანდრონიკაშვილზე ნე-ტარსხენებელი პალომი.

როცა ამას წინეთ, „ბატ. იზე“ და-ხურვის შემდეგ, რომელმაც გაზეთში დაწერილი იყო, დემურია და პალომი ერთათ აპირობენ გაზეთის გამოცემასო, ჩვენ ეს არ დავიჯერია, მაგრამ იმაში კი ვრწმუნდებით, რომ ბათუმის გაზეთის თანამშრომელთ ძალიან შეუსწავლიათ პალომის ყარკობა.

არც ეს არის პროგრესიული მიმარ-თულების ნიშანი.

„ბატ. იზე.“ ირწმუნება, ჩვენ ბერე-ყიანსა და ხომერის არ ვიცავთო. ფორ-მალურათ მართალია: არ იცავს და ვერც დაიცავს, ძალიანაც რომ ეცადოს, მაგ-რამ არსებითათ ყოველ ექვს გარეშეა, რომ გაზეთის მთელი შურის მიძიებელი კამპანია ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ სწორეთ ბერეყიანისა და ხომერის სამ-სახუროდან დათხოვნილთა გამოწვეულია.

„გარეშეაო“ ისა სთქვა, რომ ბათუმის გაზეთმა სამარცხინო როლი იკისრა: სამართლიანათ დათხოვნილ მოხელეთ სა-პირადო ანგარიშების გასაწევ ორგანოთ დაუღვაო.

ამას ამტკიცებს გაზ. „ზაკავა“-ს ბათუ-მელი კორესპონდენტიც (№ 201)

ამას ამტკიცებს თით „ბატუმ. იზე“-ში დაბეჭდილი წერილებიც (№№ 40, 41, 25): გ. გ. და კ. გ. ფაქტებით თითქო ცხვირში სცემენ ბათუმის გაზეთს:

თქვენი დამოკიდებულება ქალაქის გამ-გეობასთან, —მოუირღებლათ სწერს კ. გ., —არასოდეს არ ყოფილ: საქმიანი და პრინციპალურიო; სანამ გამგეობასთან სიმამტილობით იყავით, ყველა იმის ცოდვებს განზახხ ხელს აფარებდითო, მაგრამ მის შემდეგ, რაც საავთოყო-ფის რევიზიის გამო, გამგეობას აუხირ-დით, მოსაწონსაც კი უწუნებთო; პრინ-ციპალური კრიტიკა კი არა, ფაქტებ-საც სისტემატიურათ უმხიზჯებთ მკითხ-ველსო.

და ეს სრული ქვემარტებაა ყველა იმიათვის, ვინც ბათუმის გაზეთის კითხუ-ლობს და იქაური საქმეები იცის.

ჩვენ არ გვეკვირს, რომ გაზეთი, რომ-ლის რედაქტორი შვილია სამსახურიდან დათხოვილი ბერეყიანისა, პირად ანგარი-შებს აყვ. და ძირს დაეშვა. ჩვენ მხოლოდ ვწუხვართ, რომ იქაურმა კამპანია ისინიც ჩაითრია, ვინც წინე-უფრო იღებუ მუშაობას ეწეოდა. გარეშე.

